№ 72 აპრილი 1, სამშაბათი 1886 აპრილი 1, სამშაბათი № 72

გაზეთი ღირს:

თვეე	მან.	კ.	თვეე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბეჟთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

ტფილისი, 31 მარტს

ვიდრე ინგლისი დაისაკუთრებდა ირლანდიას, მიწათ-მფლობელობა ირლანდიაში თემობრივი იყო. ვისაც რა მიწა ეჭირა, მისი საკუთრება კი არ იყო, არამედ მთელის თემისა. თვითვეულს თემს თვისი ცალკე უფროსი ჰყვანდა და გამგეობა თემის საკუთრო მამულისა ებარა. როცა უფროსი მოკვდებოდა, მის სამაგიეროდ არჩევანით დააყენებდნენ ხოლმე ახალსა. ამ სახით თვითვეულს მკვიდრს ირლანდიისას სამართალი მიუძღვოდა მამული ეხმარა სათემოში სხვასთან თანასწორ. ამბობენ, დღესაც თურმე არიან ოჯახები, რომელთ წინაპართაც ეგ თემის უფროსობა ჰქონიათ. ირლანდიელნი თურმე დიდს პატივსა სცემენ ამისთანა ოჯახებს დღესაც და ხშირად თავისის ხარჯითაც ინახვენო.

მას შემდეგ რაკი გულ-ხალვათმა პაპმა ადრიან IV-მ უცნაური საქმე ჩაიდინა და თავისუფალი, სრულებით მისდა არ-კუთვნილი ირლანდია დაულოცა და უწყალობა ინლისის კოროლს გენრიხს II-ს და 1170 წ. გენრიხმა ირლანდიაში ფეხი შესდგა, რა თქმა უნდა, წინანდელი მიწათ-მფლობელობა ირლანდიაში თავს ველარ დაიჭერდა. მთელის საშუალო საუკუნოთა განმავალობაში ირლანდია ძნელად ემორჩილებოდა ინგლისსა, ბოლოს კი ელისაბედმა და კრომველმა სულ პირქვე დაამხეს. რაკი რეფორმაციამ ფეხი გაიდგა ინგლისში, ინგლისი კათოლიკეთა აღსარებას გადუდგა და თავისი საკუთარი ეკკლესია გაიჩინა, მას შემდეგ უფრო უკუღმა დატრიალდა ბედი ირლანდიას, რომელმაც არ უღალატა კათოლიკეთა აღსარებასა და დღევანდლამდე მასვე აღიარებს.

ინგლისის დაპყრობამ, რასაკვირველია, ინგლისის რიგიც შეიტანა ირლანდიაში მიწათ-მფლობელობის შესახებ. რაკი ამ რიგს თვით ინგლისის მკვიდრთა ვერ გაუძლეს ინგლისში, რომლისაც პატრონები თვითვე იყვნენ, აბა როგორ გაუძლებდა დაპყრობილი ირლანდია, სადაც ბატონობა სხვა ტომმა, ესე იგი ინლისმა დაიჭირა. ჯერ ამ რიგს ვერ გაუძლო ირლანდიამ და მერე, რეფორმაციის შემდეგ, იმ გარემოებას, რომ პროტესტანტობა ინგლისისა სდევნიდა კათოლიკობას ირლანდიისას. ჯერ რეფორმაციამდე ირლანდიის მიწები ეწყალობათ და დაურიგდათ ეკკლესიებს, მონასტრებს და ინგლისის ლორდებს. რეფორმაციის შემდეგ კათოლიკეთა მონასტრები გააუქმეს, მამულები სულ ჩამოართვეს, სახაზოდ შერიცხეს და იქამდე მივიდა გაბოროტება, რომ ირლანდიაში სრულად აეკრძალათ კათოლიკებს დაესაკუთრებინათ, ან ხელში სჭეროდათ მამული მფლობელობითა. ამის ძალით ჩამორთმეული მამულები ან სულ დაჰყიდეს, ან მიუბოძეს დიდ-გვართა ინგლისელ პროტესტანთა და მაიორატობა დაუწესეს. რეფორმაციის დროს ინგლისის ხელმწიფე ელისაბედმა 80,000 ჰეკტარი *) სულ ინგლისელ პროტესტანტებს დაურიგა. იაკობ I ექვსი ჩრდილოეთის საგრაფოები: არმაგი, კივანი, ფერმანაგი, დერრი ტირონი დ დონეგალი მკვიდრთა ირლანდიელთ ჩამოართვა, და სულ ინგლისისა და შოტლანდიის პროტესტანტს ლორდებს დაურიგა. თვითონ 180,000 ჰეკტარი დაისაკუთრა. პურიტანების რევოლუციის დროს უელამდი ვალით ავსებულმა პარლამენტმა ერთი მილლიონი ჰეკტარი ვალში მისცა, სულ ინგლისელებს და—როცა კათოლიკენი საბოლოოდ დამარცხდნენ,—კონნაუტს და კლერს დაასახლეს, და პროტესტანტების მეტს სხვას არავის მიახიჭეს ნება აქ საგრაფოების ქალაქებში დასახლებულიყო. მდინარე შანნონი დასდეს საზღვრად და თუ ირლანდიელი ამ საზღვარს გადმოაბიჯებდა, ინგლისელს ნება ჰქონდა მოეკლა და ამისათვის არა ვითარს პასუხს არ აგებდა. ეხლაც არის დარჩომილი ანდაზად: «გინდა ჯოჯოხეთს წასულხარ, გინდა კონნუტსა—სულ ერთიაო.» ამ შეუწყნარებლობამ რჯულისამ ეს არ იკმარა. ირლანდიელებს ერთი მშვენიერი ჩვეულება ჰქონდათ სკოლების შესახებ. სკოლა ცის ქვეშე სადმე ხის ძირს, ან ღამაზ ღელეზედ გაიმართებოდა ხოლმე და აქ გროვდებოდა მოზარდი ყმაწვილობა და უსმენდა თავის ოსტატს. 1830 წ. ესეც აუკრძალეს და ვალად დასდეს შვილები მარტო პროტესტანტის სკოლებში ჰგზავნონ ხოლმე სასწავლებლად. გარდა მაგისა პროტესტანტის სკოლებისა და სამღვდელოებისათვის კათოლიკენი ირლანდიელნი ეგრედ-წოდებულს «ათისთავს» იხდიდნენ 1838 წლამდე. 1832 წლამდე ირლანდიელთ კათოლიკეთ ნება არა ჰქონდათ პარლამენტში წევრად კათოლიკე ამოერჩიათ.

ამაების შემდეგ რა გასაკვირველია, რომ ირლანდიაში მთელი საკუთრება ადგილ-მამულისა ინგლისის ლორდებმა დაიჭირეს და ხალხს ხელიდამ გამოაცალეს. იმ საზოგადო მიზეზთა გარდა, რომელთაც ინგლისში მამულებს თავი მოუყარეს რამდენისამე დიდგვარეულობის ხელში, აქ ირლანდიაში სხვა საკუთარი მიზეზიც ზედ დაერთვა. ჯერ ხომ პროტესტანტობა, რომელსაც მთავრობა ხელს უწყობდა მიწათ-მფლობელობის საქმეში, მერე—მაიორატობა, რომელიც აქ გააგანონეს რომ არამც და არამც მამული პროტესტანტის, ესე იგი, ინგლისელის გვარეულობიდამ არ გასულიყო და მესამე—რაც თვითონ მკვიდრთა ირლანდიელთა მამულები ეჭირათ სულ ლორდების სადალე მამულებად იცნეს. ამ მამულების სადალეობა ჯერ განონიერის ხელ-შეკრულობაში მოაქციეს, მერე—საიჯარო ვადა-დადებულ ხელ-შეკრულობაში. რაკი ვადები გაუვიდათ, ლორდებმა ჭკუა იხმარეს და ეგ საიჯარო მამულები მკვიდრს ირლანდიელებს იეფად დაუთმეს, ოღონდ იჯარის ქაღალდით ნუ შევეკვრით ერთმანეთსაო. მკვიდრნი ირლანდიელნი იეფობას დაჰხარბდნენ და უქაღალდოდ ჭერა დაიწყეს მამულებისა. აქედამ ძნელი აღარ იყო მიწათ-მფლობელს ლორდს ბოლოს მამულის გაცემა თავის ნებაზედ დაემყარებინა. ამ თვით-ნებობას ინგლისები «*at will*»-სა ეძახიან და ამან მოუღო კიდეც ბოლო ირლანდიის მკვიდრთა. ამ განსაკუთრებითს მიზეზებს ერთი კიდევ ზედ დაემატა. ინგლისსა და შოტლანდიაში რაც ჩამოსართმევი მამულები იყო სულ ჩამორთმეული ჰქონდათ წვრილთა მამულის

---

*) ჰეკტარი = 2197 ჩორსო საჟენი, ცოტა ნაკლებია ჩვენებურს ორ დღიურზედ.

ფელეტონი

მწყემსის მუქარა

ტყუილად ჰფრთხები ქალაო,
კიდევ მოალის ზაფხული,
მოგანდომებენ ჯალაფნი,
ჩემთან იქონო სულ-გული,
როცა გეტყვიან, ქალთა-მზევ,
ადე, გარეკე ცხვარიო,
საშუბის ყელებს უმარჯვე,
არ დაანებო თავიო.
მეც იქ დაგხვდები ფოცხვერა
გაკრული გორის პირადა,
მალე გაგიწყვეტ საკინძსა,
ჩაგეტოლები ძნელადა.
ცხვარს ვინღა უგდებს მაშინ ყურს,
თუნდ ტყეც კი იქცეს მგელადა.

ვაჟა-ფშაველა

ჩვეულებითი მართლიერება სვანეთში

(შემდეგი *)

საზოგადოების მოვალეობანი და მისი დამოკიდებულება სხვა საზოგადოებასთან. მისაცემი ძიძისა, მჭედლისა და სხვა მოჯამაგირეთა. საქონლის გაკვება. სხვა-და-სხვა დანაშაული და საზღაურის რაოდენობა მის კვალობაზე. ზომები. საწყაოები.

თვითვეული წევრი საზოგადოებისა ვალდებული იყო დაეცვა პატივი და სახელი თავის საზოგადოებისა; გაჰკიდებოდა მდევრად საზოგადო მტერს და სხვა და სხვა. თუ ვისმე სახლკარი და ჰირნახული დაეწვოდა, საზოგადოება აძლევდა დაზარალებულს ოჯახს გარდა წვრილმანის შემწეობისა კომლიდამ თვითო «ჩაბანალ» ნამუშავარს. სახლის ამშენებელს საზოგადოება მუქთად მოუტანდა საშენ მასალას: ხეს, ქვას, კირს, სილას... როცა ამშენებელს ნადი დასჰირდება, საზოგადოება უარს ვერ ეტყვის. თუ შემთხვევა მოიტანს, საზოგადოება თანასწორად იხდის საზოგადო მტრისადმი საზღაურს. საზოგადოება იწყნარებდა გაჰირებულს მხვეწნელს, როგორც თავის საზოგადოებისას, ისე სხვა საზოგადოებისას და ქვეყნისას. საზოგადოების მოვალეობაა რჩენა უთვის-ტომო, უნათესაო მოხუცთა, დავრდომილთა და გლახაკთა. კარდა-კარ მთხოვრობა სვანეთში არ იციან. თვითვეული საზოგადოება დარაჯად იდგა ხოლმე, რომ ერთ რომელსამე მრავალ რიცხოვანს და ღონიერს საზოგადოებას მეორე მცირე და მასზე სუსტი საზოგადოება არ დაეჩაგრა და რომ ამ ნაირად დაცულიყო თანასწორობა ყველა საზოგადოებათა შორის. ყოველი დაჩაგრული მოითხოვდა დაკმაყოფილებას იმ საზოგადოების მახვშისაგან, სადაც ჰზინადრობდა, ესახლა დამჩაგვრელი. ნივთიერი საზღაური დაჩაგრულს ეძლეოდა იმ საზოგადოებაში არსებულის წესით, სადაც სცხოვრობდა დამჩაგვრელი. თუ ერთს საზოგადოების მცხოვრებს მეორე საზოგადოების მცხოვრები თავისაში ჩხუბს აუტეხს და პირველს თავის საზოგადოებიდგან ვინმე დაესწრება, უთუოთ უნდა მოეხმაროს, რაც უნდა მისი მტერი იყოს. ძიძას საძუძურში ეძლევა ერთი ძროხა, ტანისამოსი და როცა გასაზრდელს ყმაწვილს (ლერდი) მშობლებს ჩააბარებს, შეძლების გვარად სხვა საჩუქარიც. ძიძა ყმაწვილის დედ-მამის ოჯახში უნდა იყოს; თუ ძიძას ეს არ ეხერხება თავის ოჯახის გარემოების გამო, მაშინ მას ეძლევა «როჰიკი» თორმეტი «ლელვლიაქი» ნამუშევარი წელიწადში და დრო-გამოშვებით სხვა-და-სხვა მოსაკითხი (ნაკმარუნ). ძიძა მეორე დედად ითვლება და ამისათვის გასაზრდელსა და ძიძის ნათესავებ შუა, ნათესაობა მყარდება. ყოველი მეკომური მოვალეა აძლიოს მჭედელს წვრილმან მუშაობისათვის (დანა, სადგისი, ნამგალი, წისქვილის იარაღი) ყოველ-წლივ თვითო-თვითო «ჩაბანალი» ნამუშევარი; ამ გადასახადს ხალხი ეძახის «კალფვერ» (?). ცელის, ნაჯახის და სხვა სხვილმან იარაღების გაჰქედისათვის მჭედელს ეძლევა იარაღების პატრონებისაგან ერთი «ლერქვაში».

წლიური ქირა უბრალო მოჯამაგირისა იყო «ტყვემიშ» (24 მ.). დღიურად სამი მუშა ღირდა ერთი «ჩაფლაში»; ეგრეთივე ქირა ჰქონდა დანიშნული დღიურად უღელ ხარს. კალატოზს სახლის აშენებაში ეძლევა ერთი ხარი და ხარჯი. ცხენის გაკვება მთელს ზამთარს ღირდა სამი «ლერქვაში»; ხარისა და ძროხის თვითვეულად—ერთი «ლერქვაში». ხარს თუ გააქირავებდი ზაფხულობით, ქირაში დამქირავებელი გაჰკვებავდა ხსენებულს ხარს და კიდევ ერთს სხვა მსხვილს საქონელს, ხარს, ძროხას,—ანა და ორს წვრილს პირუტყვსა. წვრილ პირუტყვის გაკვება ღირს «ჩაფლაში»; ცხვარს ერთის მის ნაპარცისათვინაც გაჰკვებავენ. გაკვების შუა ვადად მიღებულია ორი თებერვალი.

⁂

«სისხლი» (წორ)

თავისუფალ სვანეთში

1) უშგულის საზოგადოებაში—ექვსი «სისხლის» ნალჯომი (ნაზომი?) სახნავი ყანები. ყანები უნდა იყვნენ საუკეთესონი, სოფლის ახლო, რომელნიც მომეტებულად ჰფასობენ. თვითო ამ გვარი ნალჯომი ღირს ექვსი ცალი ხარი. თუ მკვლელს მაგ ნაირი საგვარო (ლაგვარ) ყანები არა ჰქონდა, მაშინ მათ მაგიერ უნდა მიეცა სახლ-კარობა, რომელიც სამს სისხლის ნალჯომად გადიოდა და კალო თავის კარაპანით («კარპან»—სადადიანო სვანეთში, «მაჩ»—თავისუფალ სვანეთში და «ცალმაგ»—სადადიშკელიანო სვანეთში). კალო კარპანი სჰრიდა ორს სისხლის ნალჯომს. მეექვსე ნალჯომის მაგიერ მკვლელს მოძრავი ქონება უნდა მიეცა. ამათ გარდა მკვლელს უნდა მიეცა კარგი თოფი და მოკლულის ოჯახის წევრებისათვის თვითვეულად ხარი, ან ძროხა საჩუქრად. შერიგების დროს მკვლელს მოკლულის ოჯახისათვის და მასთან ერთად მორევებისა, ან ლუფხულებისათვის უნდა ექმია ხარჯი.

2) კალას საზოგადოებაში «წორი» იგეთივე იყო, როგორიც უშგულში, მხოლოდ კერია და ნაჰა აქ მომეტებული იყო მოკლულის ჰირისუფლების მისაცემად. კერიასა და ნაჰას მიცემას იმ მნიშვნელობას აძლევს ხალხი, რომ მათი შემლეეი ოჯახი აიყარა, დაილუპა ხალხის შეხედულობით.

3) იფარის საზოგადოებაში. სამი ნალჯომი სახნავი მიწა, ორი ნალ-

---

*) «ივერია», № 62, 1886 წ.

მფლობელთა მაშინ, როდესაც ირლანდიას ჯერ კიდევ სრულიად გამოცლილი არა ჰქონდა მამულები ხელიდამ. ამიტომ რაც ინგლისსა და შოტლანდიაში მოჭარბებული ძალ-ღონე და სიხარბე იყო «ჯენტრისა» (წვრილთა მამულის პატრონთა) სულ ირლანდიას მიესია დასაჭერად იმ ადგილებისა, რაც კიდევ ხელში შერჩენოდა გლეხთა წოდებასა, რადგანაც ამათ პროტესტანტობა უპირატესობას აძლევდა ირლანდიაში, კანონი და მთავრობა ხელს უმართავდა, იქაურებისათვის მიწები ჩამოერთვათ, და თვითონ რიგი ინგლისის მიწათმფლობელობისა, ძვალსა და რბილში გამჯდარი, იმისთანა იყო, რომ რიცხვით უმცირესთა ხელში მოგროვება ჰქონდა საგნად და მიდრეკილებად — ყოველის ამით ინგლისის ჯენტრს მარჯვი მოუვიდა და რაც ლორდებმა დააკლეს, ამათ შეუსრულეს. ყველა ამან ასე იმოქმედა, რომ ირლანდიაში სულ 20,322,641 აკრი *) მიწაა და აქედამ 15,575,270 აკრი უჭირავს საკუთრებად მარტო 5, 400 მიწათ-მფლობელს და მთელს ირლანდიაში კი, 1879 წ. აღწერილობით, 5,350,000 მცხოვრებელია. ამ გვარმა მიწათ-მფლობელობამ მთელი მიწათ-მომქმედი ირლანდია უმიწოდ დააგდო და დღეს ეს უმიწობა ჰღაღადებს იმ საშინელის ხმითა, რომელმაც ირლანდიისაგან ასეთის ზრუნვით და ფიქრით მოახედა აქამომდე ყურმძიმე პარლამენტი ინგლისისა და თვით ინგლისის ერი. რა განწირულებამდე მიიყვანა ირლანდია ასეთმა გარემოებამ, ამაზედ ხვალ მოვილაპარაკებთ.

ი.

---

*) აკრი—800 ჩორსო საჟენია, ჩვენებურის დღიურის ორი მესამედი.

ახალი ამბავი

*** გუშინ წინ 30-ს მარტს საურთიერთო კრედიტის საზოგადოებას წლის-თავის ჩვეულებრივი კრება ჰქონდა. კრებაზედ დაესწრო დიდ-ძალი წევრი; სულ 651 კენჭის პატრონი იყო მოსული კრებაზედ. არა-წევრთა, უცხო-ხალხსა ნება არ მისცეს დასწრებოდნენ. თავ-მჯდომარედ კრებამ ამოირჩია უკენჭოდ ბ-ნი ევანგულოვი და ძალიან კარგადაც შეასრულა მან მოვალეობა თავ-მჯდომარისა. ბ-ნმა თავ-მჯდომარემ წლიური ანგარიში ყველაზედ უწინარეს გახადა განსახილველ საგნად. კრებას ანგარიში არც კი წაუკითხეს და კრებამ უკენჭოდ, ერთმხრივ დაამტკიცა. ანგარიშის წინედ მოხსენება რჩევისა და სარევიზიო კამისიისა მოხსენდა კრებას და აქედამ აღმოჩნდა, რომ კასსაში ექვსასის თუმნის ვექსილი ყოფილა ნაღდის მაგიერ და თუმცა ამაზედ ლაპარაკი ასტყდა, მაგრამ, რადგანაც ყველანი დარწმუნდნენ, რომ ნაღდსავით სარწმუნო და საიმედო იყო იგი ვექსილი, ამ ლაპარაკმა უქმად ჩაიარა. უმთავრესი შენიშვნები ბ-ნმა კონ. ბებუთოვმა გაუკეთა ანგარიშს. სხვათა შორის თ. ბებუთოვმა აჩვენა, რომ რაკი გამგეობის წევრნი გადაწყვეტილს ჯამაგირს იღებენ, სარგებელი მოგებიდამ აღარ უნდა ერგოთო. აღმოჩნდა, რომ ახალ წესდებაში ამ საგანზე ყრუდ არის ნათქვამი, თუმცა ძველში კი ცხადია, რომ ჯამაგირს გარდა მოგებიდამაც წილი უნდა ჰხვდეთ გამგეობის წევრთა. თავ-მჯდომარემ აუხსნა რომ რადგანაც სამერმისოდ ზოგიერთ საგნის გამო გამგეობას საზოგადოებისას ფიქრად აქვს ცვლილება მოახდინოს წესდებისა და წარმოუდგინოს კრებას დასამტკიცებლად, ეს ნაკლიც საიმისოდ გადიდვასო. კრებამ მიიღო ეს წინადადება თავ-მჯდომარისა. გარდა ამისა, ერთმა გარემოებამაც აალაპარაკა კრება. აღმოჩნდა, რომ 15 წევრის მიერ ხელ-მოწერილი ქაღალდი ყოფილა მასზედ, რომ ნაწილი წლიურის მოგებისა გაუნაწილდეს, ქართველთა წერა-კითხვის საზოგადოებას, სომხების საქველ-მოქმედო საზოგადოებას და ეგზარხოს სამრევლო სკოლებისათვის. ორს წევრს კრების რამდენისამე დღის წინად უთხოვნია რჩევისათვის, რომ ჩვენ აღარა გვსურს იმის თქმა, რაც ქაღალდში სწერიაო და რადგანაც 13-ი წევრი-ღა დარჩენილა და წესდებით კი 15 წევრზედ ნაკლებ არ უნდა იყოს ამისთანა შემთხვევაში მთხოვნელი, რჩევამ ეს საქმე არ წარუდგინა კრებას. კრებას ამის გამო უკმაყოფილება დაეტყო, და დაავალა რჩევა, რომ სამერმისოდ ეგ საგანი უსათუოდ წარმოედგინოს კრებას განსახილველად.

ორი წევრი რჩევისა დაეთხოვა სამსახურს ბ-ნი კაიდანოვი და ივანენკო, რადგანაც სახელმწიფო სამსახურის კაცნი არიან და ახალის კანონის ძალით სხვა გარეშე სამსახურის ნება აღარა აქვთ. კრებამ ამათ გამოუცხადა მადლობა ყოფილის სამსახურისათვის და შეუდგა ერთის დირექტორის ამორჩევას და სამის წევრისა რჩევისათვის. დირექტორობაზედ ორმა ჩამოატარა კენჭი: ბ-მა ბაბანოვმა და ბეჟანოვმა. ბ-ნს ბაბანოვს დიდი კენჭი მოუვიდა და იგი დარჩა დირექტორად. რჩევის წევრად ექვსმა კაცმა ჩამოატარა კენჭი: ბბ-ნთ სლივინცკიმ, ათაბეგოვმა, პაპოვმა, იზმაილოვმა, წოვიანოვმა და შადინოვმა. ამ ექვსში თეთრი კენჭი ამოუვიდათ მარტო ბ-ნთ წოვიანოვსა და შადინოვსა, დანარჩენებს შავი კენჭი მეტი ამოუვიდათ თეთრზედ. კრება დაიშალა ოთხს საათზედ.

*** როგორც გვწერენ ქუთაისიდამ, 28 მარტს ქუთაისის ოლქის სასამართლოს გაუსამართლებია თ. დიმიტრი ბარისის ძე ნიჟარაძე, რომელსაც დაბრალდა, რომ პლატონ ნიჟარაძის მოკვლა მოინდომა და მსუბუქად დასჭრაო. დამნაშავემ აღიარა, რომ დამბაჩა კი გავისროლე პლატონ ნიჟარაძისკენ, მაგრამ მოკვლა მისი არ განმიზრახავს და არც მდომებიაო, თვინიერ კარგის მეგობრობისა და დამოკიდებულებისა პლატონთან არავითარი უსიამოვნობა არა მქონიაო. მე ვესროლე დამბაჩა მოსარიდებლადაო, როცა გასალახავად მომზდევდაო; თუ მოკვლა მდომოდაო ერთის ტყვიის გარდა კიდევ დამრჩა დამბაჩაში ხუთი სხვა ტყვიაო, და ადვილათ შემეძლო მომეკლა პლატონიო.

გამოძიებით აიხსნა, რომ მიზეზი ამ შემთხვევისა ყოფილა თვით პლატონ ნიჟარაძის მეუღლე, რომელსაც უშვერის სიტყვებით უგინებია ახალგაზდა დიმიტრისათვის, ხმაურობაზედ გამოქცეულა იქვე ახლოს მყოფი პლატონ ნიჟარაძე, რომელსაც გარდა ხანჯლისა, კარგა მოზდილი ჯოხიცა ჰქონია, მოსწევია უკვე შინისაკენ მიმავალს დიმიტრის და საცემრად უწევნია. დიმიტრის რამდენჯერმე დაუძახნია: «პლატონ გაბრუნდი, ნუ მომდევო» და შემდეგ დამბაჩა გავარდნილა. ტყვიას პლატონის მარჯვენა მხარზედ გაუკაწრავს და უბეში ჩავარდნია. დამცველი გარდიევსკი ამართლებდა დამნაშავეს და ამტკიცებდა, რომ მას არ ჰქონია სურვილი პლატონის მოკვლისაო. სასამართლომ ამ დანაშაულობისათვის დ. ნიჟარაძეს გარდაუწყვიტა ღირსების ახდა და ტომსკის გუბერნიაში გარდასახლება. როცა თარჯიმანმა გადმოთარგმნა განაჩენი, მაყურებლებთ შორის მოისმა ტირილი დამნაშავის მოხუცებულის დედ-მამისა და ახალგაზდა ცოლისა.

*** როგორც სჩანს ბაქოს ოლქის საბაჟოს ანგარიშებიდამ, წელს თებერვლის თთვის განმავლობაში, შეუტანიათ იქ სამზღვარ - გარეთიდამ 440,914 მან. და 85 კაპეიკის საქონელი, ხოლო გაუტანიათ იქიდამ 426,062 მან. და 50 კაპეიკის. (გაზ. «Кавказъ»)

—

*** 30-ს მარტს მე-3 უბანში, ტიტულიარნი სოვეტნიკის მიხეილ სალამბეგოვის სახლში, აზრ-შეშლილმა სნეულმა აზნაურმა ალექსანდრე ჟულჩინსკიმ დასჭრა მასწავლებლად ნამყოფი კონსტანტინე გერასიმეს ძე ტერ-ასატუროვი, რომელსაც კისერი და პირის სახე აქვს დაკოდილი, ბ-ნი ტერ-ასატუროვი გაგზავნილ იქნა სამკურნალოში. გამოძიება ჰსწარმოებს.

ნაკვესი

ერთს მდიდარს ყმაწვილ-კაცს ტყუილად ხმა დაუვარდა ჩვენს ქალაქში, ვითომ ჭკუაზედ შეიშალაო. ამას ერთი ნაცნობი ჰყვანდა, კაცი მეტად საყვარელი ტოლ-ამხანაგებში, მაგრამ ასეთი მფლანგავი, ბედოვლათიჭკა დარდიმანდი იყო, რომ ფულს მნელად-ღა შოობდა სასესხებლად ამხანაგებშიაც კი. ამ ბედოვლათმა ჰსთხოვა სესხად ფული ჭკუაზედ შეშლილად გამოცხადებულს,—და თუმცა ამან იცოდა, რომ ფული აღარ დაუბრუნდებოდა, მაინც ხელი გაუმართა და ათი თუმანი ასესხა. იქიდამ რომ წამოსულა ჩვენი დარდიმანდი, წინ შემოჰყრია ერთი სხვა ნაცნობი და უკითხავს:

— საიდამ მოდიხარო.

დარდიმანდს დაუსახელებია ზემოხსენებული მდიდარი.

— კაცო, მართლა ჭკუიდამ შეიშალაო? ჰკითხა თურმე ხელმეორედ: მთელი ქალაქი ჰლაპარაკობსო.

— მა რა ეშმაკია!.. დღეს მე ათი თუმანი მასესხა და რომელი ჭკვათამყოფელი იქმოდა ამასაო!.. იხუმრა დარდიმანდმა.

ჯომი სათიბი სახნავ მიწის ფასად, ერთის ნალჯომის სალირალი მოძრავი ქონება. დანარჩენი, როგორც უშგულ-კალაში.

4) მულახის საზოგადოებაში. სამი ნალჯომი სახნავი მიწა და სამი ნალჯომი სათიბი ყანების ფასად, დანარჩენი, როგორც სხვაგან.

5) მესტიის საზოგადოებაში, როგორც მულახისაში.

6) ლენჯერის საზოგადოებაში 24 ნალჯომი სახნავი მიწა. დანარჩენი, როგორც სხვაგან.

7) ლატალის საზოგადოებაში, როგორც ლენჯერისაში. ლატალისა და ლენჯერის ოთხი ნალჯომი უდრის ერთს ნალჯომს უშგულისას. აქაური ერთი ნალჯომი ფასობს ერთ ხარად და ერთ ძროხად.

8) საბატონო სვანეთში ბეჩოს, ფარის და ჩუბეხევის, ან ლაზამულას საზოგადოებაში დადებული იყო «წორად» 24 «ცხვადიში», სახნავი და სათიბი მიწა. აქაური «ცხვადიში» და ლენჯერ-ლატალის «ნალჯომი» ზომითაც და ფასითაც ერთ ნაირნი არიან. ეცრის საზოგადოებაში «წორი» სჭრიდა 12 ცხვადიშ სახნავ-სათიბს მიწას. აქაური ცხვადიში ზომით უშგულისკალის, იფარის ნალჯომის ტოლა იყო, მაგრამ ფასად კი ღირდა ათ «ფურეშად» (ფურეში—10 მ.) ნაჩვენებ ოთხს საზოგადოებაში, რომელნიც შეადგენენ საბატონო სვანეთს, ჩამოთვლილ მიწის ცხვადიშებს გარდა მკვლელს ხდებოდა ორას მანეთამდი თუ საჩუქრად, თუ სხვა-და სხვა სახარჯოდ. თუმცა «ნალჯომის» და «ცხვადიშის ზომები ყველა საზოგადოებაში თანასწორნი არიან, მაგრამ დაფასების შემდეგ კი ერთს დაახლოებით სწორს და საზოგადო ჯამს გვაძლევენ. მაგ. უშგულის სისხლის ნალჯომი იმდენადვე ღირს, რამოდენადაც ლენჯერ-ლატალის 4 სისხლის ნალჯომი და ფარ-ჩუბეხევის 4 ცხვადიში, ე. ი. ექვსს ხარად. ამ ნაირად ექვსი უშგულის სისხლის ნალჯომი ღირდა 36 ხარად. 36 ხარად გაიყიდებოდა აგრეთვე ლენჯერ-ლატალის და საბატონო სვანეთის 24 ნალჯომი ცხვადიში, გარდა ეცრის ცხვადიშისა. ხარი რომ 25 მანეთად ვიანგარიშოთ, ვნახავთ, რომ 36 ხარის ფასი შეადგენს 780 მანეთს. ამას უნდა დაემატოს ზემოთ ნახსენები საჩუქრები, ხარჯი. ამ ნაირად «წორ» ენგურის ხეობაში მდებიარე სვანეთში უნდა მიეღოთ ფულის კვალობაზე არა-ნაკლებ 780 მ.

9) სადადიანო სვანეთში, რომელსაც შეადგენს სამი საზოგადოება: ლაშხეთი, ჩოლური და ლენტეხი «წორად» მიღებულია 400 მანეთის სალირალი მოძრავი ქონება. იარალი—თოფი, ლეკური, ვერცხლის ძეწკვები, თასები, აზარფეშები, სპილენძის საარაყო ქვაბები და ბოლოს ოთხ-ფეხი საქონელი. თუ მოსახლეს ნაჩვენები მოძრავი ქონება არა ჰქონდა, მაშინ 400 მანეთის სალირალი სახნავ-სათესი ადგილები უნდა გაეხადა.

⁂

ორთავე ხეობაში, ენგურისა და ცხენის წყლისა, მძიმე ჭრილობა, რომლის შედეგიც იყო გაფუჭება, გახმობა, დაშავება ადამიანის რომელისამე ასოისა მაგ. ხელის, ფეხის, თვალის, ცხვირის, ყურის და სხვა, სჭრიდა ნახევარს «სისხლს» ე. ი. ენგურის ხეობაში სამი «წორის» ნალჯომს და ცხენის წყლის ხეობაში 200 მანეთს. სხვა-და-სხვა გვარი ჭრილობა მსუბუქი და მძიმეც, როდესაც კაცს დაჭრილი ასო არ უფუჭდებოდა, სჭრიდა ორ «აცსიშიდამ» 30-დე. მსუბუქად გარტყმა, ხელით ერთი აცსიში, ჯოხით, ქვით...ორ აცსიშიდამ სამამდე. ამ ნაირ კაცის შეურაცხყოფას ჩვეულებითს მართლიერებაში საკუთრებითი ტერმინი ჰქვია, სახელდობრ «კადარდ«ფუკვიდ», გარტყმა, და ეს ტერმინი ქართულად ნიშნავს გარტყმას «მშრალად», ე. ი. უსისხლოდ. თუ გარტყმის შედეგი ჭრილობაა, მაშინ ხალხი ეძახის გარტყმას «მუჟირდ», ე. ი. გარტყმა სოველი ან სისხლიანი.

შეურაცხყოფა სიტყვით—4 აცსიშიდამ 30-დე.

ცილის-წამება—3აცსიშიდამ 24-დე.

ქურდობა, — გარდახდევინება ნაქურდალისა ერთი-ორად პატრონის სასარგებლოდ და საზოგადოების ჯარიმა, რომლის რაოდენობა მის — საზოგადოების შეხედულობაზე ჰკიდია.

სახლის გატეხა— რა გინდ მცირე მოეპარა ქურდს, თუ კი დაკეტილი, ურდულ გაყრილი კარები გაალო, ან კედელი შეტეხა, ან ფანჯარაში შეიპარა, თხოულობდა ნაქურდალის დაბრუნებას და გარეშე ამისა კიდევ 12 აცსიშს. ქურდს, თუ სახლის გატეხაზე მოასწრობდნენ, მაშინაც გადახდებოდა 12 აცსიში. ჩვეულებითი მართლიერება არ აძლევს უფლებას სვანს მოჰკლას, ან მძიმედ დასჭრას ქურდი, რა გინდ ქურდობაზე მოასწროს; თუ მოჰკლავდა, ქურდის ჭირისუფალი ეძიებდა «სისხლს». აგრეთვე მძიმე დაჭრასაც ეძიებდა. ორივეს შემთხვევაში 12 აცსიში გამოირიცხებოდა «წორი»საგანაც და ნახევარის «წორი»საგანაც სასარგებლოდ გატეხილის სახლის პატრონისა. სახლის გატეხას რაღაც დიდი დამჩაგრელი მნიშვნელობა ეძლევა სვანეთში. სახლის ხელ-უხლებლად, შეუბღალავად შენახვა სვანის ზნეობითი მოვალეობა-მოთხოვნილებაა, გატეხა, გაქურდვა კი პირადი პატივის და ღირსების დამცირება და შეურაცხ-ყოფაა.

თოფის სროლა მტრისადმი მიმართული, მაგრამ აცილებული, ჩახმახის დაცემინება გატენილის თოფისა ენგურის ხეობაში მდებიარე სვანეთში არაფრად ითვლებოდა ე. ი. საზღაურს არ თხოულობდა, ცხენის წყლის ხეობაში კი სროლა არაფრად ჩაიგდებოდა, ჩახმახის დაცემინება კი ნახევარს სისხლს თხოულობდა.

დაქადნებას, დამუქრებას (угроза) ჩვეულებითი მართლიერება უყურადღებოდ სტოვებდა.

დედა-კაცის მანდილის მოხდა (ლიშგმე) და ნაწნავების მოჭრა 24 აცსიში იყო.

ყანის და სათიბის წახდენისათვის, პატრონს უფლება აქვს თუ შიგ მოასწრო, მოჰკლას წვრილი საქონელი, სხვილს ოთხ-ფეხს ვერ მოჰკლავს. წანახდენის გადახდევინება იშვიათია. ტყის მოჭრაში კი დამნაშავე პასუხს აგებს.

ბეს. სვანი

(შემდეგი იქნება)

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

რუისი. (გორის მაზრა). გორიდამ თოთხმეტის ვერსის სიშორეზე დასავლეთისკენ მდებარეობს დაბა რუისი დიდის და მშვენიერის ეკკლესიით, რომელიც მორთულია გარედამ მრავალ-გვარი წნული ჩუქურთმებით და შიგნიდამ ქვითკირის განკვეთით; კანკელს წინა-პირიდამ ჭვარავს მეორე შაბაქი ხვრეთ გამოხვრეტილი კანკელი და მშვენიერი ძველი მხატვრობის ხატები. ეს ეკკლესია აშენებულია, როგორც მოგვითხრობს ბატონიშვილის ვახუშტის გეოგრაფიული აღწერა ქართლისა, სამოც-და-მეთექვსმეტე მეფის ალექსანდრესაგან და შემდეგ განახლებული მეოთხმოც-და-მეცხრე დედოფალი მარიამისაგან. რუისის სამხრეთის მინდორი ნიქოზამდე ირწყვის ლიახვიდამ გამოყვანილ წყლის რუთი; რუები გამოყვანია თამარ მეფეს; ეს ორი რუ რწყავს რუისის მინდვრებს ს. ურბნისამდე; ამას გარდა ეკკლესიის გალავანს გარედ არის კარგი წმინდა წყარო.

რუისი ერთი მდიდარი სოფელია სხვათა-შორის გორის მაზრაში სახნავ-სათესი მიწებით, აქ საკმაოდ კარგი პური და სიმინდი მოდის. ამ სოფელში, თუმცა ვენახები ბევრია, ღვინო მდარე და მჟავე იცის. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ აქ ძალიან ცივა, ასე რომ ზამთარში ვაზებსაც-კი მიწაში მარხვენ, რადგანაც ზამთრის სიცივისაგან ვაზის გახმობისა ეშინიათ. აქაურების შესაწუხებელი უმთავრესად ის არის, რომ ტყე შორსა აქვთ და უკანასკნელ ხანებში ძალიან გაუძვირეს კიდეც ტყის პატრონებმა.

რუისის მცხოვრებლები სამი წილი მართლ-მადიდებელი ქართველები არიან და ერთი წილი სომხის სარწმუნოების აღმსარებელნი. ყველა ესენი იქნებიან სულ ოთხას კომლამდე, აქვთ თავიანთთვის ერთ-კლასიანი სკოლა სამის განყოფილებით. ეს სკოლა მოთავსებულია ზემოხსენებულ საყდრის გალავანში. მასწავლებლის სადგურის აქ-კარგიანობაზედ რომ არა ვსთქვათ რა, კიდევ ჰო, მაგრამ თვით სასწავლო ოთახზედ კი უნდა ვსთქვათ, რომ სუფთა და კარგად მოწყობილი ვერ არის. ჭერი და კედლები მთლად გალესილია გაჯით და იატაკიც აგურით არის დაფენილი, მხოლოდ სამწუხაროა და უურადღების ღირსი, რომ ორი მთელი კედელი, საძირკვლიდამ მოკიდებული ჭერამდე დატენიანებულია და სწამლავს სკოლის ჰაერს, რომელიც საშინლად უნდა ავნებდეს, როგორც მასწავლებლის ჯანმთელობას, აგრეთვე ნორჩ მოსწავლეებისას. ამ სკოლის კედლებს ამშვენებენ ორმოც და ათამდე სურათები ძველის და ახალის აღთქმის ისტორიიდამ.

სკოლა დაარსებულია მოხუცებულის და დიდად პატივცემულის გენერალ კონსტანტინე მამაცაშვილის რჩევით და მეცადინეობით 1877 წელს.

ზემოხსენებულს სკოლაში დაარსებიდამ წარსულ წლამდე ქალები არ დაიარებოდნენ სასწავლებლად, საიდგანაც ქალვაჟების ერთ სკამზედ ჯდომას ეთაკილებოდა ხალხს; მაგრამ მასწავლებელმა მთლად გაუფანტა ეს ტყუილი თაკილი ხალხს და როგორც იყო დაიწყებინა სწავლა დილიდამ შუადღემდის ვაჟებს და შუადღის შემდეგ—ქალებს. არ გაიარა ამ რიგად დიდმა ხანმა და ერთს მშვენიერს დღეს თითონვე ქალები ჩამწკრივებულიყვნენ ვაჟების გვერდით სკამზედ. დღეს სკოლაში დაიარება ოც-და-ორი ქალი და ოც-და-თხუთმეტი ვაჟი; ყველანი დიდიდამ პატარამდე ჰკითხულობენ და მოუთხრობენ ამონაკითხს ამბებს და ლექსებს ქართულს და რუსულს ენაზედ. წერაშიაც მარჯვედ არიან; მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ ქართულს ასოებს ალალ-ბედად ნახაზ რვეულებზედ სწერავენ და მთლად ფუჭდება ქართულ ასოთა ხასიათი. ხსენებულ სკოლასთან ერთად ერთი ფრიად სასარგებლო და სასიამოვნო საქმე განუზრახავს ამ სკოლის მასწავლებელს. ეს გახლავთ ბიბლიოთეკის დაარსება, რომ სკოლის შრომამ და ამაგმა ამაოდ არ ჩაუაროს აქაურს ხალხს და განსაკუთრებით იმათ, ვისაც მცირედიც არის სწავლა მიუღიათ და იციან წერა და კითხვა, რომელიც უამისოთ შეიძლება მალე დაავიწყდეთ.

აი ამ ფრიად კეთილის საქმის სასარგებლოდ რამდენსამე პირს კიდეც შეუწირავს ხუთ თუმნამდის ფული და ამას გარდა აქაურს გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობას შარშანდელის წლიურის წლის მოგებიდამ— თერთმეტი მანეთი. აგრეთვე თხოვნა წარუდგენიათ «წერა-კითხვის საზოგადოებისთვის», რომ ისიც დაეხმაროს თავის შეძლებისა გვარად.

ი. დ.

სოფელი ჩხერი. (შორაპნის მაზრა) 24 მარტს. მოგვატყუა მარტმა. ის მშვენიერი მაისის დღეები, რომელიც აქამდინ იდგა, ახლა იანვრის დღეებათ შეგვიცვალა. ეს ორი დღეა რაც აქ ძრიელ ცუდი ამინდებია. დღეს თოვლი თითქმის ერთს ადლზე მოვიდა ჩვენში; ცხადია, ეს თოვლი მეტად დააზიანებს და მოსწვავს გამოსულს ხეხილს. ხეხილმა თქვენი ჭირი წაიღოს, თუ ვენახსაც არ წაახდენდეს. ვენახით ცოცხლობს ჩვენი ხალხი.

ამ სოფელში რკინის გზის მახლობლად არის ერთი ძველი ნანგრევი საყდარი, რომლის მსგავსიც სოფელში იშვიათად იქმნება. სწორედ ხელოვნურად არის ნაშენი და მშვენიერ გეგმაზეა მოყვანილი. ახლაც კედლები თითქმის კარგად არის კიდევ შენახული, ხოლო სახურავი და თაღი აღარ შერჩენია. ეს საყდარი აუშენებია დიდ-თამარ მეფესაო. მდიდარი და ძრიელი ხატები მისი თურმე ნანგრევ ქვებსა და მიწას ქვეშ არიან დამალულნი უპატრონობით. იმასაც ამბობენ, რომ მის კარებთან ერთი ქვევრი თეთრი ფული უნდა იყოს დამარხულიო, ვითომ ამ საყდრის მოსახსენებლადაო. რამდენად მართალია ეს არ ვიცი. ეს კი სჩანს, რომ სწორედ დიდის ხნის დანგრეული და თაღ-ახდილი უნდა იყოს ეს საყდარი, რადგანაც შიგ საყდარში ერთი მხლის ხე არის ამოსული, რომელიც სიმაღლით ხუთი საჟენი იქნება, სიმსხოთი კი არშინ ნახევრამდინ. ეს ეკკლესია დიდათ სწამთ ახლაც კიდევ გარშემო მცხოვრებთ, ასე რომ არ შეიძლება მის ახლოს ქვა აიღონ, ან ტოტი მოსტეხონ ხესა. ჩვენი ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორად ნამყოფი რომ მოვიდა აქაური სკოლის სარევიზიოთ და დაინახა ის მშვენიერად სუროთი შემოსილი შენობა, მთხოვა რომ ზაფხულში ამოვალ აქ და ეს საყდარიც მაჩვენე და ჩხერის ციხეცაო. საჭიროა ამ ძველს ნაშთს არხეოლოგიამ მიაქციოს ყურადღება. ძალიან კარგს იზამს რომ ვინმე გამოჩნდებოდეს იმისთანა არხეოლოგიის მცოდნე პირი და როგორც ამ ეკკლესიას, ისე ჩხერის ციხესაც ნახავდეს.

დიდ გაჭირვებაშია ჩვენი ხარაგაულის საზოგადოება სასამართლოს დაშორებისა გამო. სამი წლეიწადი მეტია, რაც ჩვენმა საზოგადოებამ და მასთან ხუთმა სხვა საზოგადოებამ: ზეკოთუბნისამ, ლეღვანისამ, ამაშუკეთისამ, შროშისამ და კიცხისამ სთხოვეს უმაღლესს მთავრობას, რათა სასამართლოს განყოფილება დაეარსებინათ ჩვენს პატარა დაბა ხარაგაულში, მაგრამ ჯერეთ არაფერი არ ისმის, თუმცა დიდს მოლოდინში კი გართ და ყველა დარწმუნებულია, რომ მთავრობა შეიწყნარებს ჩვენს თხოვნასაო. ღმერთმან ქნას! ვისაც შეხედავთ ყველა სახლს აშენებს. რაო და «სუდი» მოვა და ჩემ სახლში უნდა დავაყენოო. სოფლური ანდაზა გახლავსთ: «ჯემაკი ტიკებს ალბობდა და ღვინო არსად ჰქონდაო», ჩვენც სწორედ ისე მოგვდის. ამ სოფლის ჰავის სიკეთეც გაიგეს და, როგორც დარწმუნებით ამბობენ, აქ რამდენიმე ოჯახი აპირობს საზაფხულოდ მოსვლასაო. იქნება, ღმერთმან ქნას და ისევ უწინდებურად გაიღვიძოს ჩვენმა ხარაგაულმან...

ს. ჩხერელი

დამაკვირდი!

ვისაც აქვს რამე ქონება, ხმალიც ხელთ უნდა ეპყრას. (გეტე)

⁂

უფლება — წამოსასხამია, რომელიც სხვის მხრებზედ მეტად განიერი და ფართო გვგონია და საკუთარზედ-კი მეტად ვიწრო. (დეგურსელი)

⁂

დრო, დამაუძლურებელი და გამაქარვებელი მიჯნურობისა, მეგობრობის განმამტკიცებელია. (ლაბრუერი)

⁂

სჯობს საყვარელსა ყოველსა მოყვასი დანაცადარი.
(მეფე ვახტანგ VI)

⁂

ორგ-მაგე არს საწუთრო,—
ხან ჰნოტიობს, ხან კი ჰკვალავს;
დღეს რომ კარგი წინ გიმძღვარობს,
უკან მოგადევნებს ხვალ ავს;
ნუ ენდობი, მოგატყუებს,
ისარს ისვრის, მშვილდს კი ჰმალავს...
მას დავნატრი, ვინცა სწორედ
სვლად საწუთროს გზას გაჰკვალავს.
(დავით გურამიშვილი)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ბელგიის მუშა-ხალხის მოძრაობა ლამის საზარელ ძმათა-ბრძოლად გარდაიქცეს. ეს ისეთი უბედურებაა, რომ, ვისაც კი კაცობრიობისათვის გული შესტკივა და ვისაც კი მისი კეთილ-დღეობა და წინ-მსვლელობა სწამს, — ამ მოვლენას გზას ვერ აუქცევს, ყურს ვერ მოუყრუებს. თითქმის ყველა რუსეთის გაზეთებმა ხმა ამოიღეს და თავისი აზრი წარმოსთქვეს. ამ დღეებში ჩვენ მკითხველებს ვაუწყეთ გაზეთ «Московскія Вѣдомости»-ს აზრი. ამავე საგნის თაობაზე ერთი მოსკოვის გაზეთი სულ სხვა აზრისაა.

დასავლეთის მუშა-ხალხის მოძრაობას, ამბობს გაზეთი, ეკონომიური და სოციალური უსწორ-მასწორობა იწვევსო. დიდად შემცდარნი არიან ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ ამ მოძრაობის მიზეზი მთავრობის სისუსტე და გაუქმებააო. ამ საქმეს მთავრობის გაძლიერება ვერ უშველის, ამ სენს ძალიან ღრმადა აქვს ფესვი გადგმული და ეს საშუალება შველას ვერ მისცემს. უკეთესი საშუალება არის, და გლადსტონის მაგალითი ცხადად გვიჩვენებს, რომ გონიერ სახელმწიფო კაცებს კარგად ესმის ამ სენის მიზეზი და მისი წამალიც. გლადსტონის პროექტი, რომელიც, თუ განხორციელდა, თითქმის ძირეულად სცვლის ირლანდიაში მიწის-მფლობელობას და სოციალურ წყობილებას,—ის უტყუარი გზაა, რომელსაც უნდა მტკიცედ დავადგეთ, თუ სოციალური სენის მოსპობა გვსურსო.

⁂

დეპეშამ გვაუწყა შემდეგი ამბავი: «ბოლგარები ძალა-უნებურად შეუერთდნენ ოსმალებს...» —გაზეთ «Новороссійскій Телеграфъ»-ს ძალიან ჰსწყენია ეს ახირებული ამბავი, და ამის გამო მოძმე ბოლგარებს შემდეგ მკაცრის სიტყვებით მიჰმართავს:

რა დაგემართათ, ჩვენო «ძამიკებო» (братушки)? რას ასტეხილხართ, რას აჰყაყანდით, ბოლგარო მჭევრ-მეთქვნო? რაზედ ემუქრით, რაზედ უთვლით წყევლას რუსეთსა? — «გვსურს განვთავისუფლდეთ ჩვენის განმათავისუფლებლისაგანო», პასუხს გვაგებენ მჭევრ-მეთქვნი, ჩვენი «ძამიკენი». ყველასა აქვს სამზღვარი და მაშასადამე—მადლობასაცაო...»

⁂

გაზეთ «Одесскія Новости»-ში დაბეჭდილია საყურადღებო სტატია, რომელიც ამტკიცებს, რომ პეტერბურგში კულტურა დღე-და-დღე კლებულობს. მცხოვრები პეტერბურგს, როგორც ეტყობა, ემატება. მაგალითად, 1869 წელში 667,963, 1881 წელში კი 861,303 მცხოვრები ითვლებოდა, —მაშასადამე ათის წლის განმავლობაში თითქმის 190,340 მცხოვრები მოჰმატებია,—მაგრამ მნიშვნელობა კი, როგორც გონების წარმატების მეთაურ ქალაქს, აკლდებაო.

1869 წელს პეტერბურგში 5,120 მეცნიერი და ლიტერატორი ითვლებოდაო, ამბობს გაზეთი, 1881 წელში კი სულ 3,133 კაციო, მაშასადამე 1,987 კაცი დაჰკლებია. ამაზედ მეტი უკან წასვლა და გონებით დაცემა ძნელად შეჰხვდება კაცსა რომელსამე ქალაქის მატიანეშიო. შემდეგი საინტერესო ცნობები უფრო ცხადად გვიხატვენ ამ სამწუხარო მოვლენასაო:

1	სამღვდლოდ შესანახი	61	კაცზედ	მოდის.
1	ავად-მყოფი . . .	107	—	—
1	ტუსაღი . . .	308	—	—
1	ცუდი ყოფა-ქცევის ქალი . . .	462	—	—
1	ექიმი	652	—	—
1	ლიტერატორი. .	2,121	—	—

ამ სახით პეტერბურგში, ცუდი ყოფა-ქცევის ქალი 5-ჯერ, ტუსაღი 7-ჯერ და სამღვდლოდ შესანახი 35-ჯერ მეტი ყოფილა, ვიდრე მეცნიერი და ლიტერატორი.

გაზეთი აფიქრდება ამ სამწუხარო მოვლენას და ბოლოს გულ-გამწარებული იძახის: სად, რა გვარ უფსკრულს მიგვიყვანს ასეთი პროგრესიო...

⁂

გაზეთებში უფრო და უფრო ხშირად შეგვხვდება ხოლმე ამ გვარი სასიამოვნო ამბავი, რომ ექიმი-ქალები დიდ-სიმხნევეს და ძალას იჩენენ საზოგადოებაში და თანაგრძნობასაც იძენენ. აი გაზეთ «Самарскій Листокъ»-ს სხვათა შორის რა მაგალითი მოჰყავს:

სამი წელიწადია, რაც სამარაში ექიმების საზოგადოება შესდგა. ამ ხნის განმავლობაში საზოგადოებამ ვერაფერით გამოიჩინა სიცოცხლე და მხოლოდ თავის უნდილობა და უმნიშვნელობა დაამტკიცა. მაგრამ აი ამ საზოგადოებაში წევრად შემოდის ექიმი-ქალი, გვარად ფომინა. საზოგადოების ერთს სხდომაზე ამ ქალმა საკუთარი სამეცნიერო წერილი წაიკითხა. აქვე ერთმა საზოგადოების წევრმა გულწრფელად წარმოსთქვა: რაც ჩვენი საზოგადოება დაარსებულა, ამაზედ უკეთესი ჩვენ არაფერი გაგვიგონია. ქალმა სული შთაუდგა სიცოცხლე-მოკლებულ საზოგადოებას და მოქმედების ახალი გზა უჩვენა.

ამ გვარმა მაგალითებმა მაინც თვალი აუხსნან ჩვენ საზოგადოებას და დაარწმუნონ ჩვენი «უმეცარნი ბრძენნი», რომ ქალების სრული და ვრცელი განათლება სიკეთის მეტს არაფერს შესძენს საზოგადოებას.

რუსეთი

ხელმწიფე იმპერატორს დაუმტკიცებია აზრი სახელმწიფო რჩევისა, რომ გლეხთა ოჯახის გაყოფა შეზღუდულ იქმნას და რამე სამზღვარი დაედოს.

* * *

«Биржевыя Вѣдомости»-ები ამბობენ, რომ ზოგიერთნი მექარხნენი და მეფაბრიკენი სთხოვენ მთავრობას, შეამციროს ის დრო, როდესაც მცირე-წლოვანთა და დედაკაცთა არ უნდა იმუშაონ ღამ-ღამობითაო, თორემ ჩვენ იძულებულნი ვიქმნებით სრულიად აღარ მივიღოთ ხოლმე ისინი სამუშაოდ და უფრო ცუდი იქმნება იმათთვისაო. თუ ასე არ მოვიქცევით, ზარალის მეტი არა გვექმნება რა იმათგანაო.

* * *

მთავრობას განუზრახავს, რომ დერპტის უნივერსიტეტი ისე შესცვალოს, როგორც სხვა რუსეთის უნივერსიტეტები არიანო.

* * *

ფინანსთა სამინისტრო ახალს წესებს არდგენს სახელმწიფო ხარჯის-კრეფის ინსპექტორების სახელმძღვანელოდაო. ამ წესებით უფრო მეტი დამოუკიდებლობა მიენიჭებათ ინსპექტორებსაო.

* * *

ქ. ტამბოვის მიბაძვით წელს ბევრს სხვა ქალაქებშიაც დაარსდება «სამიკროსკოპო» სადგურნი, რომელთაც ის დანიშნულება ექმნებათ, რომ ხორაგეული სინჯონ ხოლმე.

* * *

იმის გამო, რომ ციმბირის უნივერსიტეტი მალე გაიხსნება, საინტერესოა ცნობანი გაზეთის «Сибирь»-ისა იქაურ გიმნაზიების მოსწავლეთა შესახებაო. სულ იქაურ გიმნაზიებშიო 1885 წ. 1 იანვრისათვის იყო 544 მოსწავლეო და თუ პროგიმნაზიების შეგირდებსაც ჩავთვლით, სულ 705 იქმნებაო.

* * *

რაღა ჩვენი ტფილისისა და რაღა მოსკოვის სანიტარული ყოფა. მოსკოვიც ისე მოუწყობელი ყოფილა ჭკვიანურად, როგორც ჩვენი კურთხეული დედა-ქალაქია. ქუჩები ოღრო-ჩოღრო, ავი სუნი—საშინელი, უწყლობა დაუჯერებელი. შორიდამვე რომ მიუახლოვდეთ წყლის აუზებს, საიდამაც წყალს ასხმენ, საშინელი სუნი გცემსთ თურმე. როგორც ქაზიუში დედაკაცები სახედრებით უცდიან რიგსა წყლის ასავსებად წყაროზედ, ისე თურმე ორ-პირად გამწკრივებულნი არიან მეზიდენი ამ

აუზებთან მოსკოვში და თავის ჯერს უცდიან წყლის ასავსებად. ჩვენის ტფილისსავით არც მოსკოვს ჰღირსებია ჯერ წყლის გამომყვანი მილები. ჩვენ კიდევ ჰო, ჰო, მაგრამ იმოდენა ქალაქს, როგორიც არის სამეფო ქალაქი მოსკოვი, არ შეჰფერის ასეთი უწყლობა.

ყველა ამ მიზეზისა გამო მოსკოვში ძალიან ბევრი თურმე იხოცება ყოველ-წლივ. თუმცა პეტერბურგი ჭაობიან ალაგზეა გაშენებული და მცხოვრებთა რიცხვი იქ ბევრიც არის, მაგრამ მოსკოვში თურმე იმოდენივე იხოცება, რამოდენიც პეტერბურგს, და უფრო მეტი იხოცება მოსკოვში, ვიდრე ლონდონსა და პარიჟში, თუმცა ლონდონსა და პარიჟში ბევრად მეტია მცხოვრებთა რიცხვი, ვიდრე მოსკოვში. 1882 წ. ათასში 39 კვდებოდა თურმე აქ. ბერლინში-კი 1881 წ. მოკვდა 27 კაცი, პარიჟში 25, ლონდონში 20 კაცი ათასიდგან. გადამდებ და მთარულ ავად-მყოფობისაგან მოსკოვში ყოველ-წლივ 10,000-დგან 4,000 კაცი იხოცება, ბერლინში კი ათის წლის განმავლობაში 1869 წ.—1878-მდე ყოველ-წლივ 40 კაცზე მეტი არ იხოცებოდა 10,000 მცხოვრებთაგან.

* * *

«Новое Время» ამბობს, რომ ახალი კანონი უნდა შემოვიდეს იმ ებრაელთა წინააღმდეგ, რომელნიც თავიდამ იცილებენ სამხედრო ბეგარასაო. ამ აზრით განზრახვა აქვთ გაუძნელონ ებრაელთ ერთი თემიდამ, რომელზედაც არის მიწერილი, მეორე თემში გადავიდეს, ისეთ თემში, სადაც ებრაელნი არ მოსახლეობენო. ვინც ამას ჩაიდენს, დაჰკარგავს ყველა უპირატესობას, რომელიც ოჯახის ვითარებისა გამო ექნებაო; როცა ებრაელები მოწმობას ვაჭრობისას აიღებენ, უნდა წარმოადგინონ იმის მოწმობაც, რომ სამხედრო ბეგარა გადახდილი აქვთო, ან რომ წილის ყრის დროს გამოცხადდნენ და განთავისუფლებულ იქმნენო; ვისაც მთავრობამ დაასაჯა და სხვა ვადა დაუნიშნა, ისინი უეცრად უნდა იქმნან ხოლმე გასინჯულნი ექიმისაგანაო; 300 მან. ჯარიმა გადახდეს იმ ებრაელთა ოჯახს, რომელმაც თავიდამ აიცილა სამხედრო ბეგარაო; მიეცეს ხოლმე 50 მან. ჯილდო ყველას, ვინც კი მთავრობას შეატყობინებს იმის საცხოვრებელს ადგილს, რომელსაც თავიდამ აუცილებია სამხედრო ბეგარაო.

* * *

დეპეშა

29 მარტს

ლონდონი. საზოგადოებათა პალატაში ჰარტინგტონმა სთქვა, რომ ქვეყანას იმედი აქვს ყველა მისი წარმომადგენელი წინ აღუდგება გლადსტონის პროექტს, რომელიც საშიშია იმპერიის ერთიანობისა და კანონთა უპირატესობისათვისაო. მორლეიმ სთქვა, რომ თუ მმართებლობის პროექტს უარ-ჰყოფენ, საჭირო შეიქნება მალ-და-მალ დასთრგუნონ ირლანდიის ნაციონალებური ლიგაო და ამას შეიძლება ძალიან საშიშარი შედეგი მოჰყვესო. სჯა გადაიდო ორშაბათისათვის.

ათინა. აქ მმართებლობასთან დაახლოვებულნი პირნი ამტკიცებენ, რომ სტამბოლის განაჩენზე ხელის მოწერის ამბავმა არავითარი გავლენა არ იქონია საბერძნეთის ერზედაო.

საბერძნეთის და ოსმალოს მოწინავე რაზმნი დაუპირის-პირდნენ ერთმანეთსაო, მაგრამ ჯერ ერთმანეთს არ შეხტაკებიანო.

ბერლინი. რეიხსტაგის კრება გადაიდო 17 მაისისათვისაო.

30 მარტს

პეტერბურგი. აეკრძალეს ცალკე ნომრობით გაყიდვა გაზეთის «Русскія Вѣдомости»-ებისა.

ფინანსთა მინისტრი ცირკულიარით აცხადებს, რომ რასაც სასმელების საქმეების საგუბერნიო დაწესებულებანი გარდასწყვეტავენ სავალდებულოა სახაზინო დაწესებულებათათვის და მათვე უნდა შეასრულონო, მაშინაც კი, როცა სახაზინო დაწესებულებათა განკარგულების გამო საჩივარი იქნება და ამ საჩივარის ძალით მის წინააღმდეგობის გარდაწყვეტილებას დაადგენენო.

სოფია. აღმოსავლეთ რუმელიის და ბოლგარიის შეერთებისათვის ადმინისტრატებურად კვლავ ხმარობენ დონისძიებას; რუმელიაში იმოქმედებს სხვათა-შორის ბოლგარული კანონი სათემო და კერძო სკოლების შესახები. ადვილად შესაძლებელია, რომ მთავარი კონფერენციის გარდაწყვეტილებას, მიიღებს მხოლოდ მოითხოვს, რომ მცირეოდენად შესცვალონ.

სოფია. გარეშე საქმეთა მინისტრმა ცნობა აუწყა დიდთა სახელმწიფოთა წარმომადგენელთ, რომ მთავარი, ვგონებ, მიიღებს კონფერენციის გარდაწყვეტილებასაო, მაგრამ ჯერ ჰსურს, რომ ბოლგარიის სახალხო კრებისაგან ნება აიღოსო.

ფილიპოპოლი. გამოცხადდა ბრძანება რომ, ბოლგარიასა და აღმოსავლეთ რუმელიაში მოიხმოს გასაფრთხილებელი წესები და დაინიშნოს არჩევანები სახალხო კრების დეპუტატებისა სოფიაში 11 აპრილისათვისაო.

31 მარტს

ათინა. პალატამ 129 ხმის უმეტესობით 83 წინააღმდეგ გამოაცხადა, რომ სრულიად ვენდობით სამინისტროსაო და გადასწყვიტა,—მორიგ საქმეების განხილვას შეუდგეთო. ამ გარდაწყვეტილებას სიხარულით მიეგებნენ და ჰყვიროდნენ: «გაუმარჯოს ომსაო!»

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპვ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14.
ამისი ქორონიკონი — ჳოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4.
ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 თებერვალს, დიდ-მარხვა — 23 თებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება — 22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, 9 ივნისიდამ იწყობა პეტრე-პავლის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

აპრილი 30 დღით არის

1 დღე სამშაბათი. ღირს. მარიამ მეგვიპტელისა. შობა მ. უმაღ. ალექსანდრე მიხეილის ძისა. კათ. თეოდორასი, სომ. 37 დღე დიდ-მარხვისა. მთვარე ათის დღისაა. გაივსება 6 აპრილს. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0—30. ტფილისში მზე ამოდის 5—23; ჩადის 6—39. მთვარე ამოდის 1—3; ჩადის 1—43 ნღ.

2 დღე ოთხშაბათი. ღირსისა ტიტე საკვირველ-მოქმედისა. კათ. ფრანცისკისა და პავლესი. მუსულმ. მე-10 დღე თვისა რეჯაბისა 1303 წ. ჰიჯრისა. შობა იმამისა მაჰმედ ტაგისი (შიიტებს). ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0 15. ტფილისში მზე ამოდის--5—21; ჩადის 6—40. მთვარე ამოდის 2—11; ჩადის 2—33 ნღ.

3 დღე ხუთშაბათი. ღირს ნიკიტა აღმსარებლისა; კათ. ეპისკ. რიშარდისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0—0. ტფილისში მზე ამოდის 5—20; ჩადის 6—41. მთვარე ამოდის 3—20; ჩადის 3—15 ნღ.

5 დღე პარასკევი. ღირსისა იოსებ მგალობელისა, გიორგისა და პლატონისა, კათ. ისიდორესი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59—45: ტფილისში მზე ამოდის 5—19; ჩადის 6—42. მთვარე ამოდის 4—31; ჩადის 3—49 ნღ.

5 დღე შაბათი. მოწამე თეოდორესი, სვიმეონისა, ქალწულ-მოწამისა თეოდორასი, აღდგენა ლაზარესი. სომხთა: აღდგენა ლაზარესი. კათ. ვიკენტისა. მუსულმ. შობა ხალიფა-ალი მე-IV. (შიიტებს). ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59—31. ტფილისში მზე ამოდის 5—17; ჩადის 6—43. მთვარე ამოდის 5—39; ჩადის 4—28 ნღ.

6 დღე კვირა. ბზობა. არხიეპისკ. ევტიხისა და ირემიასი; 120 მოწამეთა, ასრულებულთა სპარსეთს. სომ. ბზობა, ნახატონაქი; კათ. ბზობა, ვილჰელმისა. 5 ს.—59 წ. მთვარე გაივსება. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59—17. ტფილისში მზე ამოდის 5 —16; ჩადის 6—44. მთვარე ამოდის 6—47 ღ. ჩადის 5—4 ნღ.

7 დღე ორშაბათი. ღირსისა გიორგი ეპისკოპ. და დანიელისა. სომეხ. ხარება წმ. ქალწულისა მარიამისა. კათ. ეპიფანისა. მუსულმ. ისტივთალის დღე. მიიცვალა იმამი სადიყი. დაქორწინდნენ ალი და ფატმა (ასული მაჰმედ წინასწარმეტყველ.) ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59—3. ტფილისში მზე ამოდის 5—15, ჩადის 6—45; მთვარე ამოდის 7—54 ღ. ჩადის—5—40 ნღ.

* * *

მაზანდა.

1 მარტიდამ 1-ლ აპრილამდე.

1 გირვ. . . .	5 კ.
ადგილობრივი პური 1-ლის ხარისხ. სა.	2½ »
» » 2 »	2 »
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში 1-ლის ხარისხისა . . .	4½ »
მე-2 ხარისხისა . . .	« 3
მე-3 — . . .	2½ »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარ ისხისა .	8 »
2 —	7 »
ჩალალაჯი და ცალკე ამოჭრილი სუკი	14 »
ცხვრის ხორცი	9 »

* * *

გამოსადეგი ცნობანი.

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
ბათუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. დ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. დ.
ბაქოდამ მოდის— — — 8 ს. ,, — ,, დ.

* * *

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 ნ. წ. დ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კაჯკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.
კაჯკავში შედის -- — 5 ს. 15 წ.
კაჯკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31-

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კაჯკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 საღ.
კაჯკავიდამ გამოდის 9 ს დილით.
ტფილისში მომოდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

* * *

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით რადგან მარტო ნოვოროსიისკსდა კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით; მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

გამოცხადება.

14-ს მაისს 1886 წელსა უგანათლებულესის მეგრელიის თავადის მამულების სამმართველოში ქ. ქუთაისს მესხეთის ქუჩაზე, დანიშნულია ვაჭრობა, ლუხვანის ტყიდან გამოტანილის ბზის ხე-ტყის გასასყიდლად წონით. ტყე ესე ლეჩხუმშია.—სულ გასასყიდია ორმოც-და-ათი-ათას ფუთამდე.— ვაჭრობა იქნება ზეპირი, გარნა შესაძლოა მსურველმა დაბეჭდილი წერილი გამოგზავნოს და შიგ აღნიშნოს დაწერილებით თავისი პირობა. გირაოდ მსურველმა უნდა წარმოადგინოს დაახლოვებით ორი ათასი მანეთი დაწერილებით. გასყიდვის პირობის შესატყობად და აგრეთვე ბზის ტყის ნახვისათვის, რომელიც ქ. ქუთაისიდგან 80 ვერსზეა, მსურველი უნდა მოიქცეს ზევით აღნიშნულს მამულთ სამმართველოში.

მმართველი მამულთა და საქმეთა უგანათლებულესის თავადის მეგრელიისა სტატსკის სოვეტნიკი ნ. მალიშევი.

(3—1)

გრ. ჩარკვიანის
ქართულ წიგნის მაღაზიაში
იყიდება
რუსულ ქართული
ლექსიკონი
ხელ-ახლად გადაკეთებული ახალს ლექსიკონებზედ და გამოცემული დ. ჩუბინოვისაგან.
ფასი თითო წიგნისა 3 მ. 60 კ.
(10—2)

„თამარ ცბიერი“

ისტორიული დრამატიული პოემა

აკაკისა,

იყიდება **მორიჯის** ბიბლიოთეკაში, გოლოვინის პროსპექტზე, მუხრან-ბატონის სახლში და **გრიქუროვის** წიგნის მაღაზიაში. ფასი ათი შაური.

ОТКРЫТА ПОДПИСКА
на 1886 годъ
НА ГАЗЕТУ
„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“
(Ш ГОДЪ ИЗДАНІЯ).

выходитъ ежедневно, не исключая и понедѣльниковъ.

Газета въ 1886 году будетъ выходить подъ прежней редакціей по прежней программѣ, при участіи тѣхъ-же сотрудниковъ.

подписная цѣна съ доставкой и пересылкой:

На 12 мѣсяцевъ . .	10 р. —к.	На 6 мѣсяцевъ . .	6 р. —»
» 11 » . .	9 » 50 »	« 5 » . . .	5 » 25ъ
» 10 » . .	8 » 75 »	« 4 » . . .	4 » 75»
» 9 » . .	8 » — »	« 3 » . . .	3 » 50»
» 8 » . .	7 » 25 »	« 2 » . . .	2 » 75»
» 7 » . .	6 » 50 »	« 1 » . . .	1 » »

За границу на годъ 17 руб., на полгода 9 руб. 50 коп. 50

За перемѣну адресовъ уплачивается: иногороднаго на иногородный—40 к., городского на иногородный—1 руб.

Подписка принимается не иначе, какъ съ перваго числа каждаго мѣсяца.

Подписка и объявленія; на всѣхъ языкахъ, принимаются в Тифлисѣ—въ конторѣ редакціи, при газетномъ агентствѣ Шавердова; въ Петербургѣ—въ книжномъ магазинѣ „Новаго Времени“ Иногородные адресуютъ свои требованія въ г. Тифлисъ, въ контору редакціи „Новаго Обозрѣнія“, при агентствѣ Шавердова.

Статьи и корреспонденціи адресуются въ Тифлисъ, въ редакцію «Новаго Обозрѣнія». Принятыя статьи могутъ подлежать сокращеніямъ и поправкамъ. Мелкія рукописи, размѣромъ не болѣе двухъ писанныхъ листовъ, не возвращаются. Прочія возвращаются по личнымъ требованіямъ авторовъ и сохраняются только въ теченіе одного мѣсяца. Ни въ какую переписку по поводу напечатанія или ненапечатанія присланныхъ статей редакція не входитъ. статьи, доставленныя безъ опредѣленныхъ условіи гонорара принимаются какъ безплатныя. Редакція открыта для личныхъ обясненій отъ часу до двухъ по полудни.

(9—9)

Дозволено цензурою Тифлисъ 31 марта, 1886 г. ექ. სელაძის სტამბა თავის საკუთ. სახლებში. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.